ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 3

ქ. ონი 27. 03. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, ბესიკი მაისურაძე, რეზო საბანაძე, როსტომ ლობჯანიძე, ბიძინა ყიფიანი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: მერაბ ბიჭაშვილი, ნონა მაისურაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

2.ონის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის -ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისაუბრეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების ხარისხსა და ვადების პრობლემებზე, პროექტების მიმდინარეობისას არსებულ ხარვეზებზე საზედამხედველო სამუშაოების განხორციელების კუთხით.

მოისმინეს: 2.ონის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: 3. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის -ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წ. 27 მარტს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ. 2.ონის მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. 3. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის -ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე